სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე
„პროფესიული და უწყვეტი განათლება“
სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის
ინსტრუქცია

შეფასების მაქსიმალური ქულაა 100, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. გამოცდა იქნება წერითი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა საკითხს და ქულები შემდეგნაირად ნაწილდება:

1. **წერითი დავალება** თემაზე ,,პროფესიული განათლების გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში“. სულ: 20 ქულა;
2. **ესსე** ,,პროფესიის არჩევა და მასზე მოქმედი ფაქტორები“. სულ: 10 ქულა;
3. პროფესიული განათლების შესახებ გამოქვეყნებული **პუბლიკაციის ანალიზი** - 2 პუბლიკაცია, თითოეულია შეფასდება 10-10 ქულით. სულ: 20 ქულა;
4. **სიტუაციური ამოცანა/შემთხვევის ანალიზი,** რომელიც მოიცავს 3 კონკრეტულ სიტუაციაზე მსჯელობას. თითოეული შეფასდება 10 ქულით. სულ: 30 ქულა;
5. **ღია კითხვარი,** რომელიც მოიცავს თითოქულიან 20 შეკითხვას. სულ: 20 ქულა.

1. **წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები:**

16-20 ქულა - პასუხი სრულყოფილია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული/შესრულებული; ტერმინოლოგია გამოყენებულია ზუსტად და ეფექტიანად; ჩანს არგუმენტირებული მსჯელობის ლოგიკური ჯაჭვი და საკითხის სიღრმისეული (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული) ცოდნა. მაღალია აკადემიური წერის კულტურა;

11-15 ქულა- პასუხი სრულია; საკითხი სიღრმისეულად არის გადმოცემული/შესრულებული; ჩანს არგუმენტირებული მსჯელობის უნარი; თუმცა შეინიშნება ტერმინოლოგიის გამოყენების სიმწირე. საკითხი შეიცავს უზუსტობებს, სტილისტურ და გრამატიკულ შეცდომებს;

6-10 ქულა - პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული/შესრუ-ლებული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; აღინიშნება რამდენიმე არა არსებითი მნიშვნელობის შეცდომა.

1-5 ქულა - **პასუხი ნაკლოვანია**; ტერმინოლოგია მცდარია, საკითხის/ამოცანის შესაბამისი მასალა გადმოცემულია/შესრულებულია ნაწილობრივ; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

0 ქულა - პასუხი არსებითად მცდარია ან დაფიქსირებული პასუხის შინაარსი არ შეესაბამება დავალების არსს.

2. ესსე-ს/პუბლიკაციის ანალიზის შეფასების კრიტერიუმები:

- ესსე-ს/სტატიის ძირითადი იდეის (მიზნის) ჩამოყალიბება - 0-2 ქულა;
- საკითხის ზოგადი ცოდნა - 0-1 ქულა;
- ორიგინალური ხედვა - 0-1 ქულა;
- თანმიმდევრული მსჯელობა – 0-1 ქულა;
- ლოგიკური დასკვნების გამოტანა - 0-1 ქულა;
- შინაარსის კორექტულობა - 0-1 ქულა;
- საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული და ფაქტობრივი გამყარება – 0-1 ქულა;
- წერის კულტურა (ორთოგრაფია, პუნქტუაცია, ლექსიკური მარაგი) – 0-2 ქულა.

3. სიტუაციური ამოცანის/შემთხვევის ანალიზის შეფასების კრიტერიუმები:

9-10 ქულა - მოცემული პრობლემა ზუსტად არის იდენტიფიცირებული. ანალიზი სრულყოფილად არის წარმოდგენილი. ჩანს პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალის სრულყოფილი ცოდნა, რომელიც ადეკვატურია კონკრეტული სიტუაციისა. ანალიზში ნაჩვენებია პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები. რეკომენდაციები სრულად ემსახურება პრობლემის გადაჭრას. მოცემულია ის სასურველი შედეგები, რომელებიც პრობლემის გადაჭრის შედეგად მიიღწევა;

7-8 ქულა - მოცემული პრობლემა იდენტიფიცირებულია. ანალიზი წარმოდგენილია, თუმცა არ არის სრულყოფილი. პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალა მოცემულია, მაგრამ ნაკლებად არის დაკავშირებული კონკრეტულ სიტუაციასთან. ანალიზში ნაჩვენებია პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები, მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება პრობლემის გადაჭრას, მაგრამ არ არის მოცემული ან არასრულად არის ის სასურველი შედეგები, რომლებიც მოჰყვება პრობლემის გადაჭრას;

5-6 ქულა - მოცემული პრობლემა მეტ-ნაკლები სიზუსტით არის იდენტიფიცირებული. ანალიზი წარმოდგენილია, თუმცა არ არის სრულყოფილი. პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალა მწირია და ნაკლებად არის დაკავშირებული კონკრეტულ სიტუაციასთან. ანალიზში არ არის ნაჩვენები პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები. არასრულად არის მოცემული რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება პრობლემის გადაჭრას. არ არის მოცემული, ან არასრულად არის ის სასურველი შედეგები, რომლებიც მოჰყვება პრობლემის გადაჭრას;

3-4 ქულა - მოცემული პრობლემა არასწორად არის იდენტიფიცირებული. ანალიზი მწირია, პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალის ცოდნა და კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირება თითქმის არ ჩანს. ანალიზში ბუნდოვნადაა ნაჩვენები პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები. არასწორადაა მოცემული რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება პრობლემის გადაჭრას. გაუგებრადაა მოცემული ის სასურველი შედეგები, რომლებიც ემსახურება პრობლემის გადაჭრას;

1-2 ქულა - მოცემული პრობლემა არასწორად არის იდენტიფიცირებული. ანალიზი არსებითად მცდარია. პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალის ცოდნა და კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირება არ ჩანს. ანალიზში არ არის ნაჩვენები პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები. არ არის მოცემული

რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება პრობლემის გადაჭრას. არ ჩანს ის სასურველი შედეგები, რომლებიც ემსახურება პრობლემის გადაჭრას;

0 ქულა - პასუხი საერთოდ არ არის მოცემული.

4. ღია კითხვის შეფასების კრიტერიუმები:

პასუხი გაცემულია სწორად და ამომწურავად - 1 ქულა;
პასუხი არასწორია ან საერთოდ არ არის გაცემული - 0 ქულა

საგამოცდო თემატიკა
(ღია კითხვებისთვის)

1. მდგრადი განვითარების მიზნები;
2. განათლების მიზნები 21-ე საუკუნეში;
3. სწავლების ფუნქციები და პრინციპები;
4. საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე
5. საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურა;
6. პროფესიული განათლების მიღების უფლება;
7. პროფესიული განათლების საფეხურები;
8. პროფესიული განათლების გამოწვევები საქართველოში;
9. პროფესიული განათლების მასწავლებელი;
10. პროფესიული განათლების სტუდენტი
11. ინოვაციური ტექნოლოგიები განათლებაში;
12. უსაფრთხო გარემო საგანმანათლებლო დაწესებულებაში - გამოწვევები და შეფასებები;
13. ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული გამოწვევები;
14. პროფესიული განათლებისადმი საზოგადოების დამოკიდებულება საქართველოში;
15. დასაქმების პრობლემა საქართველოში და გადაჭრის გზები

ლიტერატურა:

1. საქართველოს განათლების სისტემის გზამკვლევი https://eqe.ge/res/NewFolder%205/%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98.pdf

2. განათლება მდგრადი განვითარების მიზნებისათვის. https://www.etaloni.ge/files_inner/4433ganatlebamdgradiganvitarebismiznebi.pdf

3. ბოლონიის პროცესის 15 წელი საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები http://erasmusplus.org.ge/files/publications/Research%20Projects/GEO/%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9

8%E1%83%A1%2015%20%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98.pdf

4. პროფესიული განათლების სტრატეგია (2021-2025) https://www.mes.gov.ge/uploads/files/2021.5.11%20VET%20strategy%20draft.pdf

5. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021) ანგარიში. პროფესიული განათლება. 2017-2018; https://mes.gov.ge/uploads/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf
6. დამსაქმებელთა განწყობების კვლევა პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტი. თბილისი, 2014; https://mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo

7. კაკუტია თ., ადგილობრივი შრომის ბაზრის როლი პროფესიული განათლების დაგეგმვასა და განვითარებაში. სადისერტაციო ნაშრომი. თსუ. 2017; https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi2/Tamar_Kakutia.pdf

8. გუბელაძე მ. პროფესიული განათლება საქართველოში, პრობლემები და გამოწვევები. თბ. 2019 https://openscience.ge/bitstream/1/306/1/Samagistro%20Mariana%20Gubelade.pdf

9. პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევა. კვლევის შედეგების პრეზენტაცია. ,,ეისითი". თბილისი, 2015; http://test.vet.ge/wp-content/uploads/2013/10/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90.pdf

10. პროფესიული განათლების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საქართველოში. GIZ. თბილისი. 2010; https://mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo
11. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;

12. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
13. ჭკუასელი ქ. განათლების სოციალური ფუნქციის საკითხის განსაზღვრისათვის. GESJ: Education Science and Psychology 2018 | No.2(48);
14. ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია მთელი სიცოცხლის მაძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ. 2018/C 189/01;
15. სასარგებლო ბმულები: http://vet.ge/
www.mes.gov.ge

საკონტაქტო პირი:

მადონა მიქელაძე - ასოცირებული პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

ტელეფონი: 577 14 10 11

ელ ფოსტა: madona.mikeladze@bsu.edu.genato.sherozia@bsu.edu.ge

გისურვებთ წარმატებებს!